ბრძანება:**ბ76. 7625120001**
თარიღი:**30/04/2025**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ივნისის N:ბ76.76221809 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის მიხედვით მიმდინარეობს მერის თანამშრომლების სამსახურში მოსვლა-წასვლის აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოები. დღეისათვის მუნიციპალიტეტის ელექტრონულ ტაბელში ჩაწერილია პროგრამა, მოწოდებულია და დარეგიტრირებულია ბარათები. შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს მერიის შინაგანაწესში სათანადო ცვლილების განხორციელება, რომლის შესაბამისადაც მოხდება პროგრამის გამართვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის (07-762511815 - 28.04.2025) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ივნისის N:ბ76.76221809 ბრძანებით დამტკიცებულ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესში’’ და ცვლილებების გათვალისწინებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე www.ambrolauri.gov.ge გამოქვეყნება.

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით უზრუნველყონ ბრძანების ყველა საჯარო მოსამსახურისთვის გაცნობა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 მაისიდან.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი